საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
გადაწყვეტილება №2/7/219

2003 წლის 7 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს სახელით

საქარველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს მოსარჩელეების: ჯანო ჯანელიძის, ნინო უბერის, ელეონორა ლაგვილავას და მურთაზ თოდრიას კონსტიტუციური სარჩელი, არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის მესამე ქვეპუნქტი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით;
2. გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან;
3. გადაწყვეტილება საბოლოოა, გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება;
4. გადაწყვეტილების პირი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს უზენაეს სასამართლოს;
5. გადაწყვეტილება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნდეს 7 დღის ვადაში.

კოლეგიის წევრები:
1. ო. ბენიძე;
2. ნ. ჩერქეზიშვილი;
3. ლ. ჩორგოლაშვილი;
4. ზ. ჯინჯოლავა.